ლელო

№ 19
(11 271)

12 - 15 მარტი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




1/4 ფინალი

საქართველოს თასის 1998/99 წლების გათამაშების ნახევარფინალისტებს („არსენალი", „სამგურალი", „ტორპედო") რკინიგზელთა გუნდიც შეემატა. „ლოკომოტივის" ახალწვეულ ალეკო გოგობერიშვილის მიერ გასრულებული 11-მეტრიანი ბათუმელ დინამოელებთან თასის 1/4 ფინალის განმეორებით მატჩში გადამწყვეტი გამოდგა.



ალექსანდრე გოგობერიშვილი

# ქართულ სპორტს სახეში ულაწუნებენ...

პრესკონფერენცია

*სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის პროგრამით გათვალისწინებულია დროდადრო გაფართოებული პრესკონფერენციის გამართვა დეპარტამენტის ხელმძღვანელების, სპორტული ფედერაციებისა და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.*



უკვე რამდენიმე წელიწადია ქართულ სპორტში ფინანსური ხელმოკლეობის გამო, ბუნდოვანი სიტუაციაა, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც სპორტის ცალკეული სახეობების ისე, საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში სპორტის განვითარებაზე, განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აყენებს ხვალინდელი დღის პერსპექტივას და ტრადიციებს. რა უნდა ვილონოთ ასეთ სიტუაციაში? პრესკონფერენციამდეც ცნობილი იყო, რომ ძირითადად ამ მთავარ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი სპორტის დეპარტამენტსა და უპირველესად მის ხელმძღვანელს კახი ასათიანს. სამწუხაროდ, თავმჯდომარის გამოსვლაში ძალზე მცირე დოზით იყო ოპტიმიზმი. ბოლო წლებში მის მიერ არაერთხელ დაისვა საკითხი სხვადასხვა დონეზე, რომ ქართული სპორტისადმი ხელისუფლების მხრიდან ასეთი უყურადღებობა მალე მიგვიყვანდა სავალალო შედეგებამდე, რომ „სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს მიუგდეს", ფაქტობრივად ბედის ანაბარა დატოვეს და ა.შ.

გასაგებია სპორტული ფედერაციების გულისწყრომა. ისინი მტკივნეულად განიცდიან უსახსრობის გამო წარმოქმნილ პრობლემებს.

თუმცა, ისინი პრესკონფერენციაზე სდუმდნენ, მათი განწყობა ყველასათვის ცნობილია, – თუ ქართულ სპორტს სერიოზულად არ მოეკიდება სახელმწიფო, გაწყდება თაობათა შორის მემკვიდრეობითობა, ტრადიციები მიეცემა დავიწყებას და მერე მის აღდგენას უდიდესი სახსრები, და რაც მთავარია, ხანგრძლივი დრო დასჭირდება. სპორტის შეჩერება და მერე იმავე წერტილიდან მისი დაძვრა შეუძლებელია, ეს დილეტანტებმაც კი ჩინებულად იციან, არათუ სპეციალისტებმა და ჭეშმარიტმა გულშემატკივრებმა.

**კახი ასათიანის გამოსვლიდან:**

„ჩემი და ჩემი მოადგილეების ყოველი სამუშაო დღე იწყება ფინანსების მოზიდვაზე ზრუნვით. ვრეკავთ და ვეძებთ მინისტრებს, დავდივართ ხელისუფლებაში, ვაწუხებთ ყველას, მაგრამ ფაქტობრივად შარშანდელთან შედარებით არათუ პროგრესს მივაღწიეთ დაფინანსებაში, პირიქით დოლართან ლარის შეფარდებით, განახევრდა კიდეც და წლეულს 2 მილიონ დოლარამდე დავიდა. ფაქტობრივად გამოიყო 2 მილიონ 200 ათასი ლარი, ჭადრაკის ფედერაციამ მიაღწია დამატებით დაფინანსებას, რაც ჩვენს ბიუჯეტს დაემატა. საერთოდ, ამ წლისთვის გამოყოფილია 4 მილიონ 460 ათასი. ამას ემატება გასული წლის ვალი დაახლოებით 780 ათასი. ასე რომ, მდგომარეობა კატასტროფულია. მეცამეტე თვეა ფედერაციებს ხელფასი არ მიუღიათ, ენთუზიაზმზე მუშაობენ მწვრთნელებიც. მე დღეს მათ ბოდიშს ვუხდი სახელმწიფოს სახელით, რომ ასეთ ცუდ დღეში ჩავარდნენ. ახალი წლიდან 700 ათასის ნაცვლად მივიღეთ 200 ათასი, რის გამო ფაქტობრივად ველარ გავწვდით სპორტულ ღონისძიებებს. ბიუჯეტის 60-70 პროცენტი მიმართულია დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის დასაფინანსებლად, ვცდილობთ მივიღოთ მონაწილეობა ყველა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. წლეულს მიღებული თანხებიდან რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გა-

იხ. მე-2 გვ.

# „ბედი უნდა ძამა ყველაფერს, ბედი!"

მეტი რაღა დარჩენოდათ, მატჩის შემდეგ ბათუმელი გულშემატკივრები (მათმა რიცხვმა კი იმ დღეს სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია ჩვენი ქვეყნის სტადიონებისთვის), ამ სიტყვებით იმშვიდებდნენ თავს და თანაუგრძნობდნენ ერთმანეთს.

ეტყობა, ბათუმელი ფეხბურთის ქომაგები თავიანთ „დინამოს" იოლ მატჩს არ მოელოდნენ თბილისელ რკინიგზელებთან, თორემ სტადიონი ასე არ შეივსებოდა. სანახაობა, რომელშიაც მრავლად იყო დრამატული მომენტები, მართლაც არ დაუტოვებია გულარხეინად მაყურებლები. გავუსწრებ მოვლენებს და საერთო შთაბეჭდილებას მოგახსენებთ — ეს იყო ღირსეულთა პაექრობა და, მართლაც იღბალმა გადაწყვიტა ყველაფერი.

ისე, მას შემდეგ, რაც მსაჯმა 26-ე წუთზე მინდვრიდან გააძევაა თბილისელი დ. გოდერძიშვილი, მასპინძლებს გარკვეული ფორა მიეცათ, მაგრამ ამ ფაქტმა თუ იქნებ ბათუმელთა ყურადღება მოადუნა და გამარჯვებაში მეტი თვითდაჯერება გაუჩინა, ლოკომოტიველებისთვის პირიქით, ძალების მობილიზების სტიმუ-

იხ. მე-3 გვ.

# გიორგი კანდელაკს სხვები დაემალნენ, მამაცი დევიდსონი კი შემოელახა

უფრო დაწვრილებით

**პროფესიონალმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა, როგორც გაუწყეთ, მე-6 სარეიტინგო ბრძოლა გამართა. ამჯერად მისი მეტოქე ინგლისელი სტივენ დევიდსონი იყო, რომელმაც კანდელაკთან შეხვედრამდე 10 ბრძოლა ჩაატარა პროფესიულ კრივში და 9 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. აქედან 5-ნოკაუტით.**

**გიორგი უკვე შინ დაბრუნდა და „ლელოს" კორესპონდენტი მშობლიურ სოფელ ვარიანში ტელეფონით დაუკავშირდა გამარჯვებულ მოკრივეს.**

● ***გიორგი, რით გამოარჩევდი შენს ბოლო გამარჯვებას წინა შეხვედრებიდან?***

— ვფიქრობ, სხვა ბრძოლებისგან დიდად გამორჩეული არ იყო. დევიდსონი ინგლისელია, ლონდონელი თანაც, ამიტომ მთელი დარბაზი მას ქომაგობდა. ალბათ, ეს იყო გამორჩეული მომენტი. მაგრამ ეს შელავათი ვერ გამოიყენა სტივენმა და მეორე რაუნდშივე ნოკაუტით მოვუგე. თუმცა, კიდევ ერთი რამის დავიწყება არ შემიძლია: დარბაზში 20-30 ქართველი იჯდა. ეს ინგლისში მოსაქმე და იქაური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ქართველები იყვნენ. ერთად დამსხდარიყვნენ მთელი შეხვედრის მანძილზე „გიორგი საქართველოს" სკანდირებდნენ. სიკვდილი მერჩია იმ მცირერიცხოვან ქომაგთა გაწბილებას, რომელთაც გამონახეს დრო, ერთმანეთს დაუკავშირდნენ და ერთად მოვიდნენ თანამემამულის საქომაგოდ. მიხარია, რომ იმედი გავუმართლე ამ ხალხს და დამაჯერებლად გავიმარჯვე.

● ***შენი უცხოელი მეხვეურნი თუ დარჩნენ კმაყოფილნი ამ გამარჯვებით?***

— ხომ იცით, არ მიყვარს თავის ქება, მაგრამ არც ტყუილი მიყვარს. ამიტომ, რაც იყო, იმას გეტყვით. ჩემი პრომოუტერი ფრენკ მელოუნი და მენეჯერი ფილიპ ფონდიუ ასე გახარებულნი არ მინახავს. არადა, მათ თვალწინ ეს უკვე მერამდენე ბრძოლა მოვიგე. მე მეგონა, ეს ხალხი მარტო დევიდსონთან ჩემმა გამარჯვებამ აღაფრთოვანა მეთქი. ეს თავისთავად, მაგრამ თურმე მთავარი მიზეზი სხვა ყოფილა. პროფესიული კრივის სამყაროში უკვე გამიცნეს, ანგარიშგასაწევ ძალად ვითვლები და, თურმე არაერთი გამოცდილი ევროპელი პროფესიონალი კიდეც ერიდება ჩემთან შეხვედრას. ამიტომაც იყო, რომ ამ მეექვსე სარეიტინგო ბრძოლაში ჯერ ფრ-

იხ. მე-2 გვ.



# პოლიფილდი – ლენოქსს: მიფრთხილდი მესამე რაუნდში!

მედისონ სკვერ გარდენში ევანდერ ჰოლიფილდისა და ლენოქს ლუისის ბრძოლას ცოტა არ იყოს უჩვეულო პრელუდია წაუმძღვარა ამერიკელმა მოკრივემ. TBF-ის და WBA-ს ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონი, ატლანტელი ევანდერ ჰოლიფილდი წინასწარმეტყველებს, რომ შაბათს, 13 მარტს, მედისონ სკვერ გარდენში მესამე რაუნდში მოუღებს ბოლოს ლენოქს ლუისს. „სიმართლე ის გახლავთ, რომ მესამე რაუნდში ნოკაუტით დავამარცხებ ლუისს. არავის არ ვთხოვ დაიჯეროს ეს, არავის არ ვთხოვ დაწეროს ეს, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ ეს ახლა, ან მოგვიანებით" – ასეთი განცხადება გააკეთა 36 წლის ჰოლიფილდმა პრესკონფერენციაზე ***(სურათზე, მარჯვნივ — ჰოლიფილდი)***.

33 წლის ბრიტანელი ლენოქს ლუისი, რომელიც ჩემპიონია WBC-ის ვერსიით საკმაოდ მშვიდად შეიძლება ითქვას იუმორით შეხვდა ჰოლიფილდის წინასწარმეტყველებას, რასაც სრული აბსურდი უწოდა. თუმცა ვნახოთ, 13 მარტს ხომ ერთი დღე გვაშორებს.

იხ. მე-6 გვ.

# გუშინ...

## პროცესი გადაიდო

გუშინ, თურქეთის ქალაქ სამსუნში უნდა გამართულიყო ქართველ მოზარდთა სასამართლო პროცესი თურქი ყმაწვილის სიკვდილში მათი ბრალდების გამო. სასამართლო გადაიდო იმ მოტივით, რომ ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ასაკი გახდა დასაზუსტებელი. მოსამართლემ პროცესი 28 მარტისთვის გადადო.

## იწვევენ დავით ყიფიანს სომხეთში?

გუშინ, რედაქციაში განუწყვეტლივ რეკავდნენ, ფეხბურთის გულშემატკივრები დ გვთხოვდნენ გვეპასუხა თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს დავით ყიფიანის მიწვევა სომხეთის ნაკრების მწვრთნელად. რედაქცია შეეცადა მიეღო ინფორმაცია უშუალოდ პირველ წყაროდან, მაგრამ დ. ყიფიანთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

## ლარის კურსი

გუშინ, დადგინდა ლარის ოფიციალური კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, 1 $ – 2 ლარი და 29 თეთრი.

რობა

ტანუი




ეთიოპელი ფატუნა რობა ქალებში და კენიელი მოსე ტანუი შარშან ბოსტონის მარათონში საუკეთესონი იყვნენ. წლეულს ეს პოპულარული მარათონი 19 აპრილს გაიმართება და ფავორიტებადაც შარშანდელ ტრიუმფატორებს მიიჩნევენ.



„მანჩესტერ იუნაიტედმა" სტუმრად, ლონდონში სძლია „ჩელსის" და კვლავ დედაქალაქურ გუნდთან მოუწევს ბრძოლა.

იხ. მე-3 გვ.

# ქართულ სპორტს სახეში ულაწუნებენ...

*(პირველი გვერდიდან)*

მოვიდნენ ჩვენი ძიუდოისტები, სხვა სახეობების წარმომადგენლები, შედეგები დამაკმაყოფილებელია. დავაფინანსეთ კალათბურთი. მართალია, ზოგს შეიძლება, შედეგების გათვალისწინებით, კალათბურთზე გაწეული სახსრები წყალში გადაყრილად მოეჩვენოს, მაგრამ ეს ასე არ არის. სპორტის ეს სახეობა უყვართ ჩვენში, არ შეიძლება ტრადიციების მოშლა. ამასთან, თუ უარს ვიტყოდით, საერთაშორისო ფედერაცია 25 ათასი დოლარით დაგვაჯარიმებდა, თანაც სამი წლით გამოგვთიშავდა საერთაშორისო სარბიელიდან.

მიღებული თანხიდან გავეცით იანვრის სტიპენდიებიც სპორტსმენებზე.

შარშან ახალგაზრდობის პირველ მსოფლიო თამაშებში ჩვენი სპორტსმენების წარმატებამ ყველა ალაფრთოვანა. ქვეყნის პრეზიდენტმა დელეგაცია საგანგებოდ მიიწვია და ამ მიღებაზე დაგვპირდა, რომ ახალი წლიდან სპორტის დაფინანსება სულ მცირე, გაორმაგდება. ახლა ყველა ვხედავთ რა რთული ეკონომიკური ვითარებაა ქვეყანაში და იძულებულნი ვართ გავჩუმდეთ.

ცხადია, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ვეძებთ გამოსავალს და ხსნის ერთ-ერთ გზად გვესახება ლატარიების მონოპოლიზება სახელმწიფოს მიერ. მსოფლიოში დახვეწილია ეს სისტემა და შემოსავლები ეთმობა სპორტს, კულტურას და სოციალურ სფეროს. თუ ჩვენც ამას არ მივაღწევთ, არაფერი გამოვა. ჩვენთან ლატარიის გათამაშების ჩატარების უფლება უნდა მიეცეს ფინანსთა სამინისტროს, კულტურის სამინისტროს და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს. მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტი, თუმცა არა ისე, როგორც ჩვენ გვინდოდა, მაგრამ მაინც, რაღაც ნაბიჯი გადაიდგა. სამწუხაროდ, ამ დოკუმენტში ჯერ არაა გაშიფრული კონკრეტული საკითხები. დღეს საქართველოში 100-ზე მეტი ლატარია თამაშდება. თუ გვინდა, რომ სპორტი გადავარჩინოთ ყველამ უნდა დათმოს, სხვა გამოსავალი არ არის. ლატარიების 70 პროცენტი უნდა მოხმარდეს სპორტს, 28 პროცენტი კულტურას და 2 პროცენტი გამთამაშებელს. ბოლოს და ბოლოს ჩვენი საშწლიანი ბრძოლა ლატარიებთან დაკავშირებით, ხომ უნდა დამთავრდეს, მაგრამ ეს ალბათ არ მოხდება, ვიდრე პარლამენტი კანონს არ მიიღებს ლატარიების შესახებ".

**პრესკონფერენციაზე დასმულ შეკითხვებზე ასეთი პასუხები იყო:**

– მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ითხოვდა 3 მილიონი დოლარის ექვივალენტ ეროვნულ ვალუტას, მაგრამ გამოიყო, მხოლოდ 500 ათასი.

– დავით ხახალეიშვილი აპირებს დაუბრუნდეს დიდ სპორტს. ამ ნიჭიერ სპორტსმენს კიდევ შეუძლია იბრძოლოს ოლიმპიური მედლისთვის, რისი შესაძლებლობებიც მას გააჩნია.

– მოკრივე პაატა გვასალიას საკითხი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მან ჩამოიტანა ცნობა რუსეთის ფედერაციიდან, რომ თავისუფალია. ახლა მთავარია, მივიღოთ ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის თანხმობა;

– მსოფლიოში არ არსებობს კანონი სპორტსმენთა გადასვლებს რომ არეგულირებდეს. ამ საკითხს წყვეტენ კლუბები შეთანხმებით, რაც ჩვენთანაც უნდა დაინერგოს;

– მართალია, არის ერთეული შემთხვევები, როცა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე უსახსრობის გამო ვერ მიდის უძლიერესი და საკუთარი ფულით მიემგზავრება შედარებით სუსტი, მაგრამ ეს პრობლემა მოგვარდება, როცა დაფინანსების საკითხი გადაიჭრება...

***პრესკონფერენციის შემდეგ მძიმე შთაბეჭდილება დაგვრჩა – ისე გამოდის, ქართულ სპორტს, ნაცვლად იმისა, რომ თავზე ხელი გადაუსვან, სახეში ულაწუნებენ, აქამდეც მივედით!..***

თ. თომაშვილი

**ფარიკაობა | საქართველოს პირველობა**

# გამარჯვებული... ჩაწერით

## ანუ იმის შესახებ თუ როგორ გაუჩნდა უძლიერესი მოფარიკავე... ტყიბულს



მარტის ბოლოს უნგრეთის ქალაქი კესპელი იუნიორ მოფარიკავეთა (20 წლამდე ასაკი) მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჯერ არავინ იცის, გამოინახება თუ არა თანხები იქ ჩვენების გასაგზავნად, მაგრამ საქართველოს ფედერაციამ თავისი ვალი მოიხადა, თადარიგი დაიჭირა და ქვეყნის პირველობაც ჩაატარა. სპორტის ეს სახეობა ჩვენში, ისე როგორც ბევრი სხვა, მასობრიობით ველარ დაიკვეხნის, მაგრამ, როგორც შეჯიბრებამ გვიჩვენა, ამ ასაკის მუშკეტერები კიდევ შემოგვრჩენია, ფაქტობრივად ახლა ისინი დგანან ხიდად უფროს თაობასა და მომავალს შორის. თუნდაც ამიტომ, უმცროსებისთვის სტიმულისა და მაგალითის მისაცემად მათი გასვლა მსოფლიოს არენაზე, ესოდენ აუცილებელია.

ბარემ აქვე განვავრცოთ თემა. არის იმედი, რომ თავიანთ სპორტსმენებს ბათუმი თავად მიავლენს მსოფლიო ჩემპიონატზე. რჩება იმის იმედიც, რომ საქართველოს განათლების სამინისტროც გამოიღებს ხელს, თბილისელი სერგო ხატიაშვილი კი (იგი მესამე იყო, ამას წინათ, ირანში გამართულ ტურნირში) საკუთარი ფულით აპირებს გამგზავრებას, ცხადია, თუ სხვა გამოსავალი არ იქნება. ფედერაციამ თადარიგი ვიზებზეც დაიჭირა და საბუთები გაფორმების პროცესშია. ოღონდ ეგაა, ყველა მცდელობა შეიძლება ამაო გამოდგეს და მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასულებს უარიც კი გვტკიცონ ასპარეზობაში მონაწილეობაზე. თურმე ჩვენ ფედერაციას ჯერჯერობით საწევრო არ ქონია გადახდილი, რაც დამატებითი შინაურული თავსატეხია.

მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის ხმლით ასპარეზობაშიც ჩატარდება, მაგრამ ეს ახალი პროგრამა ჩვენში ჯერჯერობით ღია რჩება, ცხადია, ქალები ამ სახეობაში, არც საქართველოს პირველობაში გამოსულან. ეს პირველობა სერთოდ ნორმალურად ჩატარდა, მაგრამ ერთი სპორტსმენის ვინაობა, მაინც სადავო გახდა. დაშნით მოასპარეზეთა შორის პირველობა მოიპოვა ლაშა სოფრომაძემ. თბილისელებსა და ქუთაისელებს შორის ატყდა დავა თუ ვის მიესაკუთრებინა სოფრომაძის წარმატება. საქმეს იქამდე ჩაეძიენ, ვიდრე საინტერესო და ხელჩასაჭიდ დოკუმენტს არ მიადგნენ – აღმოჩნდა, რომ ეს სპორტსმენი ჩაწერილი ყოფილა... ტყიბულში. ასე რომ, გულოცავთ მეშახტეთა ქალაქს ქვეყნის უძლიერესი პირველი მოფარიკავის გამოჩენას... „ჩაწერით."

**კვარცხლბეკი:**

***რაპირა, ვაჟები:*** 1. აკაკი ჯიქია (ქუთაისი), 2. რომან დუბაკოი, 3. იური დუბაგოი (ორივე – ბათუმი), და თემურ ბელოევი (თბილისი). გოგონები: 1. ელენე საფარიძე (ბათუმი), 2. ხათუნა ორმოცაძე, 3. ნათია ჩინჩალაძე და ლელა ძნელაძე (სამივე – ქუთაისი). ***ხმალი:*** 1. იმედა გათენაძე, 2. გენადი გოგუაძე, 3. ირაკლი ზამბახიძე (სამივე – ბათუმი) და გაგა ჯიქია (ქუთაისი). ***დაშნა:*** ვაჟები: 1. ლაშა სოფრომაძე (ტყიბული), 2. სერგო ხატიაშვილი (თბილისი), 3. ზაზა ხაჩიბეგოვი (ბათუმი) და ალექსანდრე ჩაჩანიძე (თბილისი). გოგონები: 1. ქეთინო რიჟამაძე, 2. ხათუნა ფურაძე, 3. სოფიო მარგველაშვილი და ნანა დეისაძე (ოთხივე – ქუთაისი).

# გიორგი კანდელაკს სხვები დაემალნენ, მამაცი დევიდსონი კი შემოელახა

*(პირველი გვერდიდან)*



ანგს უნდა შევხვედროდი, რომელმაც ვითომ ცხვირი გაიტეხა, მერეც ვითომ ვილაც გერმანელმა მხარი ამოიგდო ვარჯიშზე. სინამდვილეში, ეს ხალხი დამიფრთხია. თურმე მათ ტყუილად მოუმიზეზებიათ ტრავმები. ახლა, კრივის მსოფლიოს საბჭო ამ საქმის ძიებაშია. თუ ფრანგსა და ინგლისელს დაუმტკიცდა, რომ ჩემთან შეხვედრას მოერიდნენ და ტრავმები მოიმიზეზეს, მათ თითო წლიანი დისკვალიფიკაცია ელით. აი, ამიტომ იყვნენ გახარებულნი მელოუნი და ფონდიუ დარწმუნდნენ, რომ არ შეცდნენ და გავუმართლე, მელოუნმა მითხრა სხვა რა ჩარაა. აწი შენს მეტოქეებს აზიასა და ამერიკაში დავუწყებ ძებნას და იქიდან ჩამოვიყვანო.

● ***ეს, ალბათ, შენს რეიტინგზეც სახიკეთოდ იმოქმედებს.***

— არ ვიცი, ამ ამბისა არაფერი გამეგება. რეიტინგებისა ჩემმა მენეჯერმა ნოდარ ექვთიმიშვილმა უკეთ იცის. რეიტინგების სისტემა პროფესიულ კრივში ბევრ სუბიექტურ მომენტზეა დაფუძნებული, ამიტომ, მართლაც არ არის გამორიცხული, რომ ევროპელ პროფესიონალთა პასიურობამ და ჩემთვის თავის არიდებამ მართლაც სასიკეთოდ იმოქმედოს ჩემს სარეიტინგო საქმეზე.

● ***თავად დევიდსონზე რას იტყვი. შენს უწინდელ მეტოქეებზე სუსტი იყო თუ ძლიერი...***

— გამიჭირდება ჩემს მეტოქეებთან მისი შედარება, ყველას თავისი სტილი აქვს, ინდივიდუალური ღირსება და ნაკლი. ზოგადად კი დევიდსონი ძლიერი მოკრივეა. ჩემი სიმაღლე, ახოვანი, სწრაფი და ტექნიკური. მოკრივისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს, მაგრამ ეგ იყო, ჩემთან ვერ გამოავლინა თავისი ოსტატობა, ამის საშუალება არ მივეცი. თუმცა, დასაწყისში ერთხელ მომწვდა კიდეც. ჯერ პირველსავე რაუნდში ორჯერ გავუშვი ნოკდაუნში და, ფაქტობრივად, ამან გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. მეორე რაუნდის დასაწყისში სტივენი გატეხილი იყო და წინდაწინ ვიცოდი, რომ ნოკაუტი არც ისე შორს იყო.

● ***შენი მენეჯერი ნოდარ ექვთიმიშვილი ამბობს, რომ შარშანდელივით გიორგი ერთ სარეიტინგო ბრძოლას თბილისში საქართველოში გამართავსო. მართალია?***

— აბა, ბატონი ნოდარი ტყუილს ხომ არ იტყოდა. მართალია. უკვე რა ხანია მიდის მოლაპარაკება ფრენკ მელოუნთან და პანოს ელიადისთან. ზუსტი თარიღი არ დაგვითქვია, ამასაც მალე დავაზუსტებთ. ისე კი, ასე იქნება, ერთი ბრძოლა საქართველოში უნდა გავმართო, თუ რამე გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ არ შემიშალა ხელი.

ამასთან, საქართველოში ჩამოსვლა სურთ პანოს ელიადისს, ფრენკ მელოუნსა და ლენოქს ლუისს. ჩვენც, რა თქმა უნდა, ძალიან გვინდა, რომ ეს ხალხი სწორედ ჩემს სარეიტინგო შეხვედრას დაესწროს.

● ***ხვალ, 13 მარტს, ლას-ვეგასში ლენოქს ლუისი ევანდერ ჰოლიფილდს შეერკინება. ამ ბრძოლაზე რას იტყვი?***

— სულით და გულით ლუისს ვქომაგობ, ჯერ ერთი, ჩემი თანაგუნდელია, თანაც დიდებული ადამიანი. ახლაც, მე რომ ინგლისში ვიყავი, ლენოქსი კალიფორნიაში ემზადებოდა ამ ბრძოლისათვის და 3-ჯერ დამირეკა ლონდონში, მომიკითხა და წარმატება მისურვა. ერთხელ კი დევიდსონთან გამარჯვების მერეც დარეკა, მომილოცა, ხომ გახსოვს. ადრე ჰავაის კუნძულებზე იყო და იქიდანაც შემეხმიანა ლონდონში. ძალიან ყურადღებიანი ბიჭია და მე დიდ პატივს მცემს.

სხვათა შორის, პანოს ელიადისმა მითხრა, წამოდი, ლას-ვეგასში დაესწარი ლუის-ჰოლიფილდის შეხვედრასო, მაგრამ უარი უთხარი. კი, გულით მსურდა ამ ორთაბრძოლის ხილვა, მაგრამ ოჯახი, ჩემიანები მომენატრა და ლას-ვეგას ვარიანი ვარჩიე. ეს ოხერი, ვერა და ვერ შევეგუე ხანგრძლივად უცხოეთში ყოფნას. ხომ იცით, ხალხი ოცნებობს ასეთი დონის შეხვედრაზე დასწრებას.

● ***არადა, წინა რიგში გამოიჭიმებოდი, არა?***

— ლას-ვეგასში თუ ჩავიდოდი, როგორც ლუისის თანაგუნდელი და უახლოესი გარემოცვა, იქ ისე ვიქნებოდი. სად დამსვავდნენ, ეგ არ ვიცი.

● ***შენს მომავალ გეგმებზე რას გვეტყვი?***

— ახლა ჩემს მენეჯერსა და პრომოუტერს ჩემთვის არ სცხელათ. ვნახოთ, როგორ დასრულდება ლუის-ჰოლიფილდის ბრძოლა. ამის მერე დეტალურად ვისაუბროთ გეგმებზე. ისე, ის ვიცი, რომ მარტში დავისვენებ, მარტის მიწურულს ფრენკ მელოუნი შემეხმიანება და მომავალი, მე-7 სარეიტინგო ბრძოლის თარიღს და ადგილს შემატყობინებს. სავარაუდოდ კი, აპრილში, კვლავ ინგლისში მომიწევს შემდეგი შეხვედრის ჩატარება.

**სამბო | საქართველოს ჩემპიონატი**

# პარიზისკენ – საგარეჯოს გავლით...

*(დასაწყისი იხ. „ლელო" №17, 18)*

**კვარცხლბეკი**



***ქაბუკები. 48 კგ:*** 1. ვასილ ბერუაშვილი (რუსთ.), 2. გოჩა ქარჩავა (ხობი), 3. ბადრი ვაზაგაშვილი (გორი), ალექსი შაქარაშვილი (საგარეჯო), ***52 კგ:*** 1. გიორგი ბირიძე (კასპი), 2. თორნიკე ბურჯალიანი (ქუთ), 3. სოსო ძეზვრიშვილი (თბ.), ვალერი სონიშვილი (ძალისი), ***56 კგ:*** 1. ავთანდილ ცინცაძე, 2. ვალერი დეგეტაშვილი (ორივე-თბ.), 3. ვახტანგ ტალახაძე (ხაშური), მიხეილ ხოსიტაშვილი (საგარეჯო), ***60 კგ:*** 1. თემურ ასანიძე (რუსთ.), 2. გიორგი ოტიაშვილი (საგარეჯო), 3. სოსო მამულაშვილი (კასპი), გიორგი მახათაშვილი (გორი), ***65 კგ:*** 1. გიორგი კბილაშვილი, 2. გიორგი ბრეგვაძე (ორივე – თბ.), 3. ლევან მარკოზაშვილი (გორი), ილია გვენოზაშვილი (ქუთ.), ***70 კგ:*** 1. მორის თადუმაძე (გორი), 2. ტარიელ ქრისტიშვილი (რუსთ.), 3. ლილე ხვიმლიანი (მესტია), თემურ ფირკულაშვილი (საგარეჯო), ***75 კგ:*** 1. იმედა უსანეთაშვილი, 2. ზურაბ ტატიშვილი (ორივე – თბ.), 3. ზურაბ ალექსაშვილი (საგარეჯო), გიორგი ნოზაძე (ხაშური), ***81 კგ:*** 1. გიორგი გრძელიძე (თბ.), 2. თამაზ წიკლაური (კასპი), 3. ლევან გოგნიაშვილი (თბ.), მიხეილ ჩერქეზიშვილი (კასპი), ***87 კგ:*** 1. სოსო პავლიაშვილი (ძალისი), 2. გიორგი ტიგინაშვილი (საგარეჯო), 3. გიორგი გუგავა, ზ. კუნდუხაშვილი (ორივე – თბ.), ***+87 კგ:*** 1. დავით ხაბულიანი (ლენტეხი), 2. გიორგი ლოლაძე (საგარეჯო), 3. თემურ შამუგია (ზუგდ.), გიორგი გავაშელი (რუსთ.).

# „ოდიში" – სპორტის და სიჯანსაღის კლუბი

აღმოსავლური ორთაბრძოლები შეითვისეს ქართველებმა. დღეს საქართველოში ამ ორთაბრძოლათა არაერთი ფედერაცია თუ ასოციაციაა, სპორტსმენებიც უხვად გვყავს და არც საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული ტიტულებით ჩამოუვარდებით ევროპელებს.

აღმოსავლურ ორთაბრძოლათა უამრავ სახეობათაგან ერთ-ერთი შიტორიო კარატე დოა. ამ სახეობის მიმდევრები გაერთიანებული არიან კლუბ „ოდიშში", რომელსაც კარატეზე უზომოდ შეყვარებული კაცი, დიდი ენთუზიასტი ჯამბულ კოდუა თავკაცობს. მან თანამოაზრეებიც შემოიკრიბა, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ერთი პატარა ეზოს სარდაფში კარატეს კლუბი გახსნა და „ოდიში-91" უწოდა.. კლუბის მთავარი ინსტრუქტორი ალექსი გიქორაშვილი, ადმინისტრატორი ზურაბ დოდაშვილი და ელდარ მუნჯიშვილი უანგაროდ ემსახურებიან კარატეს განვითარებას საქართველოში. დღეს „ოდიში-91"-ში 100-ზე მეტი კარატისტი მეცადინეობს 6-7 წლის მოზარდებიდან დაწყებული უკვე სახელოვანი და ტიტულოვანი სპორტსმენებით დამთავრებული. თავში ვთქვი, ქართველ კარატისტებს არც საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული მედლები და ტიტულები აკლიათ-მეთქი. მათ შორის ოდიშელებიც მრავლად არიან: დავით გოგუა, გენადი ხანიანი, ელენე დავიდოვა, გელა გოგიაშვილი, დავით კოდუა, ლენა მიშატკინა. მათ არაერთხელ უსახელებიათ საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე და „ოდიში-91".



სამწუხარო ის არის, რომ კლუბს დაფინანსება არ გააჩნია. სახელმწიფო, ბუნებრივია, სპორტის ყველა სახეობას ვერ სწვდება, რომ რიგიანად ხელი გაუმართოს. ოდიშელებს არც სპონსორი ჰყავთ, რომ ამ კეთილი საქმის კეთებაში გვერდით ამოუდგეს. არადა, წინ უამრავი შეჯიბრებებია, უცხოური ტურნირები და ჩემპიონატები, სადაც, უეჭველია, ქართველთა წილ მედლებს უცხოელები დაეპატრონებიან.

მიუხედავად ამისა, ოდიშელები გულს არ იტეხენ და დაწყებულ საქმეს ენთუზიაზმით აგრძელებენ. ახლახან შინაური, კლუბის პირველობაც ჩაატარეს, მალე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება.

ყველაფერს თავი დავანებოთ, მარტო იმიტომ ღირს „ოდიში-91"-ის თავკაცთათვის მხარში დადგომა და ხელის გამართვა, რომ მათ უამრავი მოზარდი აზიარეს კარატეს საიდუმლოებას და მომავალი თაობის გაჯანსაღება-გაკაჟებისთვის გადადეს თავი. ასეთები კი, სამწუხაროდ, ჩვენში ცოტანი არიან.

ზემოჩამოთვლილ ტიტულოვან ოდიშელებს კი მალე სხვა თანაკლუბელებიც შეემატებიან, რომელთაც კოჭებში ეტყობათ, რომ დიდი სპორტისთვის არიან დაბადებულნი. დევი კუცია, მიშიკო გალუსტაშვილი, ალეკო წიფლაშვილი, ნიკა სახლთხუციშვილი, დავით სამუშია, თენგიზ წერეთელი, მიშიკო ბუალავა... ეს ბიჭები თავიანთი კლუბისა და ქვეყნის სახელის შორს გატანას აპირებენ.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ჯამბულ კოდუას, მის თანამოსაქმეებს და შეგირდებს. კეთილი და მადლიანი საქმე, უთუოდ, ბოლოს და ბოლოს, ნაყოფს გამოიღებს.

ჯავარ ლევანიშვილი




## „ბედი უნდა ძამა ყველაფერს, ბედი!“

*(პირველი გვერდიდან)*

ლად და საბოლოოდ, როგორც აღმოჩნდა, გუნდის ღირსების საქმედ იქცა.

მატჩის პირველი ნახევარი მეორესთან შედარებით, გაცილებით შთამბეჭდავი გამოდგა, საინტერესო მომენტები და საგოლე სიტუაციები საკმაოდ იყო ორივე მხრიდან, თუმცა, გოლი არა და არ გადიოდა — ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხან მეკარეებისა და მცველების ალღოს არ მიჰყავდა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მატჩის 66-ე წუთი, როცა ბათუმელთა კაპიტანმა მ. მახარაძემ საჯარიმოდან მშვენივრად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარისკენ.

ჯანელიძემ კი რის ვაინაჩრობით მოიგერია კუთხურზე, ოღონდ ძელის „გავლით“. მერე ვერც ვ. მახარაძემ, ვერც რუსიამ ვერ მოახერხეს ხელსაყრელი სიტუაციებიდან დაელაშქრათ ჯანელიძის კარი, აქვე დავძენთ, რომ რუსიას მატჩის მე-6 წუთზეც შეეძლო გოლის გატანა. ეს რომ მომხდარიყო, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს შეხვედრა.

მოკლედ, 90 წუთი უშედეგოდ მიიწურა. დაინიშნა დამატებითი დრო. დაძაბულობამ და ხალისიანმა განწყობამ ერთნაირად დაისადგურა ტრიბუნებზე. დაძაბულობა გასაგებია, სიხალისე კი ბათუმელთა რიგებში ნიგერიელი ლეგიონერის უჩ ქვაკვეს გამოჩენამ გამოიწვია. ამ ბიჭმა ერთხანს ისე თამამად ინავარდა მოედანზე, ლამის მისი თამაში იქცა მთავარ მოვლენად, 12 ათასი მაყურებელიც შეხმატკბილებულად, ტაშით უსხამდა ფრთებს ლეგიონერს, თუმცა, არც მის და არც სხვა თანაგუნდელთა მცდელობას სასურველი შედეგი არ გამოუღია.

საქმე 11-მეტრიანებზე მიდგა. ეტყობა, სტუმრებს მეტი ფსიქოლოგიური მუხტი შერჩათ ამ გადამწყვეტი მომენტისთვის და საქართველოს თასის ნახევარფინალშიც ისინი გავიდნენ.

კი, მართალია, ბედი უნდა ყველაფერს, მაგრამ ბედმა ამ დღეს რკინიგზელებს გაუღიმა. თუ ვინ იქნება ქვეყნის თასის წლევანდელი გათამაშების ბედის ნებიერა, ამას ნახევარფინალი, საბოლოოდ კი, 26 მაისს, ფინალი გვიჩვენებს.

„ლელოს“ საქ. კორ. (ფაქსით)

*ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ᲑᲐᲗᲣᲛᲘ) — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) 0-0 (ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲠᲝ 0-0, ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲔᲑᲘᲗ 2-3)*

***„დინამო“:*** ტოგონიძე, გუჯაბიძე, პაპიძე, მინდაძე, სიჭინავა, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ი. მახარაძე, მაქაცარია (კანტიძე, 70), რუსია (ქვაკვე, 91).

***„ლოკომოტივი“:*** ჯანელიძე (დოლაბერიძე, 118), ბალაშვილი, გოგობერიშვილი, ბარნოვი, ზ. არჩვაძე, ვ. კილასონია (მარლიშვილი, 14), კაციაშვილი, შ. ხუჯაძე, კ. მელქაძე, დ. გოდერძიშვილი, წიწივაძე (ნ. მინდიაშვილი, 81).

***მსაჯი:*** თ. ლაცაბიძე (სურამი).

***გააფრთხილეს:*** ბარნოვი, მაჭჩუტაძე, გოდერძიშვილი, კაციაშვილი.

***გააძევეს:*** გოდერძიშვილი, 26.

***პენალტები:*** მ. მახარაძე 0-0 (ააცილა), კ. მელქაძე 0-1, ჭიჭვეიშვილი 1-1, ბალაშვილი 1-1 (ააცილა), ი. მახარაძე 2-1, მარლიშვილი 2-2, სიჭინავა 2-2 (ძელს მოარტყა), მინდიაშვილი 2-2 (ააცილა), კანტიძე 2-2 (მეკარემ მოიგერია), გოგიბერიშვილი 2-3.

# ფეხბურთის გაზაფხული „ფეიქრის“ სტადიონზე



სპორტკლუბ „ფეიქრის“ სტადიონი ხშირად მასპინძლობს ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრებებს. ამჯერად აქ 1984 წელში დაბადებულთა ტურნირი გაიმართა დევიზით „გაზაფხული-99“. პირველობისთვის 14 გუნდი იბრძოდა: ესენია: „ლოკომოტივი“, „დინამო-2“, „დიღომი“, „35-ე სკოლა-2“, „დინამო-3“, „ლოკომოტივი“ — „იბერია“, „ოლიმპიკი“, „ფეიქარი“, „გეო“ — „ავაზა“, „ივერია“, „ავაზა“, „35-ე სკოლა-3„ და „დინამო-1“.

ფინალში „ლოკომოტივი — იბერია“ შეხვდა „35-ე სკოლის“ პირველ გუნდს და დაამარცხა 3-2. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „გეო — ავაზამ“ სძლია „ივერიას“ 3-1. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს: მცველი ლაშა გობეჯიშვილი, ნახევარმცველი ილია შონია, ბომბარდირად გიორგი ჩალაძე (18 ბურთი) — სამივე „ლოკომოტივ-იბერიადან“, საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი გადაეცა შმაგი ჩარგაზიას („35-ე სკოლა-1“).

გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელები „ლოკომოტივის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები არიან (დირექტორი დავით აბაშიძე, მწვრთნელები გურამ ხეცურიანი, ვალერი და ვოვა ხაჩატურიანები).

*ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მარცხნიდან (სხედან): ლევან რეხვიაშვილი, ლაშა ყიფშიძე, გიორგი ხინჩაგაძე, გიორგი ჯაჯანაშვილი, შმაგი ხეცურიანი, გიორგი ჩალაძე, ლაშა გობეჯიშვილი, ოთარ ოდიშვილი.*
*მეორე რიგში: სკოლის დირექტორი დავით აბაშიძე, მწვრთნელი ვოვა ხაჩატურიანი, ლაშა მურღულია, ვასილ ხვედელიძე, ილია შონია, გურამ მახარაშვილი, დავით ახვლედიანი, გოგიტა შამუგია, გიორგი ჯიოშვილი, გეგა კობახიძე, გუნდის მწვრთნელი გურამ ხეცურიანი, ვალერი ხაჩატურიანი.*
*მესამე რიგში: ილია ჭარტყოევი, გიორგი მახათაძე, რევაზ სამხარაძე, შოთა ნუცუბიძე, არტურ უსტიანი, დავით ბედოშვილი, გიორგი უზაშვილი, ირაკლი გვალია, დავით ბერიანიძე.*



# გიორგი გვენეტაძის ხსოვნის ტურნირი

საფეხბურთო კლუბის „კავკასიონის“ ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელს გიორგი გვენეტაძეს თექვსმეტი წელი შეუსრულდებოდა, დიდი ფეხბურთის თამაში სიცოცხლეში აუსრულებელ ოცნებად დარჩა, ხოლო თავის მშობლებს, ძმას, მეგობრებს, თანაკლასელებს, თანაგუნდელებს, ყველა, ვინც იცნობდა, დიდი სევდა დაუტოვა.

ტურნირი, რომელიც გიორგის დაბადების დღეს და მის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა, კრწანისის რაიონის სპორტკომიტეტის (თავმჯდომარე ა. აფრიამაშვილი), და სპორტსკოლის (დირექტორი თ. მეშველიანი) და საფეხბურთო კლუბ „კავკასიონი“ (დირექტორი გ. ჩიხრაძე) თაოსნობით ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობდა ქ. თბილისის საფეხბურთო სკოლების და კლუბების გუნდები. ნახევარფინალებში გავიდნენ 35-ე საფეხბურთო სკოლის „ლომა“, „ლოკომოტივი“, „მეტეხი-91“ და „კავკასიონი“.

„კავკასიონმა“ მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია „მეტეხი 91-ს“, ხოლო „ლომამ“ „ლოკომოტივს“ (პენალტების სერიით“ 4-1). მესამე ადგილისათვის „ლოკომოტივი“ — „მეტეხი 91-ს“ შეხვედრაც უშედეგოდ დამთავრდა. პენალტების სერიით 4-2 გაიმარჯვეს „მეტეხ-91“-ის (მწვრთნელი ზ. ცაგარეიშვილი) ფეხბურთელებმა.

ფინალური მატჩი უკიდურესად საინტერესო გამოდგა, რომელშიც „კავკასიონმა“ (მწვრთნელი გ. მამულაშვილი და ვ. ონიანი) 1-0 დაამარცხეს „ლომა“ (მწვრთნელი დ. კაციტაძე).

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები, რომლებიც რჩეულებს გადასცეს კრწანისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ირაკლი როსტომაშვილმა, სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ა. აფრიამაშვილმა, პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ თბილისის რეგიონის თავმჯდომარემ გურამ საღარაძემ, კრწანისის რაიონის დეპუტატმა თამაზ დაუშვილმა.

საუკეთესო მეკარის პრიზი ერგო ბექა გრძელიძეს („კავკასიონი“), მცველისა — კოტე დიმიტრიშვილს („ლომა“), ნახევარმცველისა — კობა ჩიტაიას — („ლოკომოტივი“), თავდამსხმელისა — ირაკლი შიოშვილს — („კავკასიონი“) ყველაზე ტექნიკური მოთამაშისა — გივი ოქროშიაშვილს, ყველაზე მებრძოლი ფეხბურთელისა — დავით დვარელს (ორივე — „ლომა“), პერსპექტიული ფეხბურთელისა — დავით გვენეტაძეს („კავკასიონი“), ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისა გიორგი ონიანს („კავკასიონი“). კლუბმა „კავკასიონმა“ დააწესა სპეციალური პრიზი, რომელიც გადაეცა გიორგი გვენეტაძის ოჯახს.

ტურნირი ტრადიციულად იქცევა და მომავალშიც გაიმართება.

მ. ფუფუნავა

*ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ტურნირში გამარჯვებული კრწანისის რაიონის საფეხბურთო კლუბ „კავკასიონის“ გუნდი.*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ჩელსი“ ეძებს სნაიპერს

„ჩელსის“ ხელმძღვანელობა თვლის, რომ ინგლისის ჩემპიონატის გადამწყვეტი თამაშების წინ აუცილებელია მაღალი კლასის თავდამსხმელი, რომელიც დაშავებულ პიერლუიჯი კაზირაგის შეცვლის. დაბრუნდება თუ არა კაზირაგი მწყობრში სეზონის ბოლომდე, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. როგორც „ბლეკბერნის“ ცნობილმა სნაიპერმა კრის სატონმა განაცხადა, ამ დღეებში სწორედ მან მიიღო „ჩელსისაგან“ ამ კლუბში გადასვლის წინადადება.

— „ბლეკბერნში“ თავს კარგად ვგრძნობ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა ბრაიან კიდმა გუნდის კაპიტნად დამნიშნა, მაგრამ „ჩელსი“ მაინც სულ სხვა კლუბია და იქ ღირს გადასვლა — თქვა სატონმა.

## ჟარდელი – გასაოცარი შედეგიანობა

ევროპის ძირითადი საფეხბურთო ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გოლი, გასაგებია, ძალიან „ძვირად ღირს“. უკეთესი შედეგიანობა აქვთ, ცხადია, ევროპული „გარეუბნების“ თავდამსხმელებს, თუნდაც იმიტომ, რომ მათ პირველობებში ბევრი შედარებით სუსტი კლუბი მონაწილეობს. ამასთან, სნაიპერებიც არიან და სნაიპერებიც. ასე, მაგალითად, ბრაზილიელმა ჟარდელმა, რომელიც პორტუგალიის „პორტუში“ გამოდის, უკვე გაიტანა 26 გოლი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები


*არსენალელი ბერგკამპი (მარცხნივ) „შეფილდთანაც“ მოწოდების სიმაღლეზე იყო.*

### იტალიის თასი 1/2 ფინალი

ფიორენტინა — ბოლონია 0-2
პარმა — ინტერი 2-1

### ინგლისის ასოციაციის თასი. 1/4 ფინალი

ჩელსი — მანჩესტერი 0-2
ნახევარფინალში მანჩესტერი დედაქალაქურ არსენალს დაუპირისპირდება, ხოლო თემურ ქეცბაიას ნიუკასლი ბარნსლი — ტოტენჰემის წყვილში გამარჯვებულს (ეს მატჩი უამინდობის გამო გადაიდო)

### ინგლისის ჩემპიონატი XIX ტური

არსენალი — შეფილდი 3-0, ნოტინგემი — ნიუკასლი 1-2, ლიდსი — ტოტენჰემი 2-0, ბლეკბერნი — ევერტონი 1-2.

***ლიდერობენ:*** მანჩესტერი (57 ქულა), ჩელსი (53), არსენალი (53).

### გერმანიის თასი

ობერჰაუზენი — ბაიერნი. 1-3, ვოლფსბურგი — ვერდერი 0-1.

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური

მონაკო — მეცი 0-0, ლანსი — მონპელიე 1-0, ლიონი — ოსერი 2-1, პსჟ — ნანტი 0-0, სტრასბური — ბასტია 1-1, ტულუზა — ჰავრი 0-0, ლორიანი — რენი 1-1, სოშო — ოლიმპიკი 0-0, ნანსი — ბორდო 2-3

***ლიდერობენ:*** ბორდო (56), ოლიმპიკი (55), ლიონი (67)

### ჰოლანდიის თასი

ეინდჰოვენი (II) — ეინდჰოვენი 0-5, სიტარდი — ემენი (II) 3-1, ფეიენოორდი — ვიტესი 2 — 1.

## „რეალს“ ბევრი დატოვებს, მათ შორის შუკერიც

„რეალის“ ხორვატი თავდამსხმელი დავორ შუკერი, რომელსაც, რომ იტყვიან, ათასში ერთხელ უწევს თამაში, ახალი სეზონიდან შეიძლება დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდეს. თუმცა იგი 1998 წლის სეზონის შედეგების მიხედვით მსოფლიოს მესამე ფეხბურთელად აღიარეს ზიდანისა და რონალდოს შემდეგ, მაგრამ „რეალისათვის“ მაინც სათადარიგო მოთამაშეა.

საქმე ის არის, რომ ახლა დორტმუნდის „ბორუსია“ ეძებს სტეფან შაპიუზასა და ჰაიკო ჰაინრიხის შემცვლელებს, რომლებმაც 2000 წლამდე უნდა დატოვონ კლუბი.

## დიდ გასამრჯელოს უნიშნავენ

იმის მიუხედავად, რომ ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის არაერთი მოღვაწე დანიელ პასარელას მოწვევის წინააღმდეგ გამოვიდა, მისი დანიშვნა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად უკვე თითქმის გადაწყვეტილად ითვლება. ამასთან, ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა ნაკრების მწვრთნელად უცხოელი ინიშნება.

პასარელას გასამრჯელო თვეში 70 ათასი დოლარი იქნება. გარდა ამისა, იგი წელიწადში ერთხელ მიიღებს პრემიას 750 ათასი დოლარის ოდენობით.


ჟარდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## როსღა ეღირსოს „ინტერს“ რონალდო?!

იტალიის ჩემპიონატი წლეულს მართლაც რომ დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, რადგან „სკუდეტოსთვის“ ოთხი გუნდი აცხადებს პრეტენზიას („ლაციო“, „ფიორენტინა“, „მილანი“ და „პარმა“). მათ მისდევთ „უდინეზე“, „იუვენტუსი“, „ინტერი“... მაგრამ ამ მძაფრ „რბოლას“ ეშხს ვარსკვლავების ტრავმები უკარგავს. დელ პიეროს სეზონის წინ მკაცრი ვერდიქტი გამოუტანეს – წელიწადნახევარი ვერ ითამაშებო. კარგა ხანს მწყობრიდან იყო გამოსული მისი თანაკლუბელი ინძაგი („იუვენტუსი“). „ლაციოს“ კრისტიან ვიერიც საკმაო დროს „ისვენებდა“, „ფიორენტინას“ კი ბატისტუტას ტრავმა ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. მაგრამ ყველაზე უიღბლონი მაინც „ინტერი“ და მისი რონალდო გამოდგნენ. ურონალდო „ინტერნაციონალე“ ყველა ფრონტზე ხელმოცარულია – სერია A-ში მე-7 ადგილზეა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ნახევარფინალში გასვლის მიზერული შანსებიღა თუ აქვს „მანჩესტერთან“ სტუმრად წაგების (0-2) შემდეგ.

რონალდო ამ სეზონში დროდადრო თუ გამოჩნდებოდა მინდორზე, ხან გამოუვიდოდა თამაში, ხან არა. თუმცა იმაში, რომ „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალამდე მიაღწია, რონალდოს ლომის წილი უდევს. ძალიან ძნელია ასე დროდადრო გამოჩნდე გუნდის ძირითად შემადგენლობაში და თან სასწაულები მოახდინო. რონალდოსგან კი მხოლოდ ამას ითხოვენ. ყოველივე ეს მეტად მძიმე ტვირთად დააწვა 22 წლის ვუნდერკინდს და მანაც ალბათ ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღო – სანამ ბოლომდე არ განვიკურნები, სათამაშოდ არ გამოვალო.

პრობლემები რონალდოს სამი წლის წინათ, 1996 წლის თებერვალში შეექმნა, როცა მას ჰოლანდიაში მარჯვენა მუხლის ოპერაციის გაკეთება მოუხდა. შარშანდელ ივნისში კი საფრანგეთი-98-ის დღეებში მას მარცხენა მუხლზეც დაეწყო ტკივილი. შემდეგ იყო მისთვის ავადსახსენებელი ფინალის წინა დღე, როცა მას ეპილეფსიური შეტევა დაემართა. მონდიალის შემდეგ რონალდომ 40 დღე დაისვენა და 20 აგვისტოს „ინტერს“ შეუერთდა. თუმცა თავს მაინცდამაინც კარგად არ გრძნობდა და ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა. ამ სეზონში რონალდო პირველად 9 სექტემბერს წარსდგა „ინტერის“ ტიფოზების წინაშე იტალიის თასის გათამაშების მატჩში „ჩეზენასთან“. თუმცა სექტემბრის ბოლოს მას კვლავ დაეწყო ტკივილები, რის გამოც 15 ოქტომბერს განაახლა ვარჯიში. 21 ოქტომბერს რონალდო დაუბრუნდა მინდორს, რათა ჩემპიონთა ლიგის მატჩში გუნდს „სპარტაკთან“ ბრძოლაში შეშველოდა. „ინტერმა“ მატჩი მოიგო 2-1, ერთი გოლი რონალდომ გაიტანა. შემდეგ ის კიდევ ორჯერ იცავს „ინტერის ღირსებას, მაგრამ ერთობ უფერულად. თუმცა ამ ოთხიდან ბოლო თამაშში (8 ნოემბერს) რონალდომ მართლაც რომ გაიბრწყინა „მილანთან“ და გოლიც შეაგდო, მაგრამ ამავე დროს ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მარცხენა მუხლზე დარტყმა მიაყენეს და ისევ მწყობრიდან გამოვიდა. რონალდომ თანამემამულე ფიზიოთერაპევტს მოუხმო სამშობლოდან, რომელმაც ინტენსიური თერაპია ჩაუტარა, რის შედეგადაც „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის გადამწყვეტ მატჩში მადრიდის „რეალთან“ სუპერვარსკვლავით წარსდგა.




რონალდოს იმ მატჩში გოლი არ გაუტანია, მაგრამ მისმა თამაშმა ბაჯოსთან ერთად დიდად განაპირობა მილანელთა წარმატება (3-1). 29 ნოემბერს კი რონალდომ განაცხადა, რომ მისი ტრავმა ქრონიკულია და სეზონში მუდმივად ვერ ითამაშებდა. იგი 13 დეკემბერს დაუბრუნდა მინდორს („უდინეზე“ – „ინტერი“), უწყვეტად ჩაატარა 6 მატჩი, გაიტანა 3 გოლი. რონალდო ირწმუნებოდა, რომ მისი გამოჯანმრთელების სეზონი წარმატებით, სწორად ვითარდებოდა, ხოლო, როცა საშობაო არდადეგების შემდეგ სამშობლოდან დაბრუნდა, განაცხადა: „1999 ჩემი წელიწადი იქნება“, მაგრამ 17 იანვარს ჩატარებული მატჩის („ბოლონია“ – „ინტერი“) შემდეგ იგი კვლავ იძულებული გახდა ექიმებისთვის მიემართა. ხოლო 3 თებერვალს კი ის ოპტიმალური გადაწყვეტილება ამცნო საფეხბურთო სამყაროს, რაზეც ზემოთ უკვე ითქვა: „მე დავბრუნდები, ოღონდ, არ ვიჩქარებ. თუ ახლაც მაქვს პრობლემები ჯანმრთელობის პრობლემები, ეს იმიტომ, რომ ძალიან ვჩქარობდი. ახლა ყველაზე უფრო წარუმატებელი პერიოდი მაქვს ცხოვრებაში. ერთ დღეს კარგად ვგრძნობ თავს, მეორე დღეს კი ცუდად. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შარშანდელი აგვისტოდან რაღაც მუხრუჭებით ვთამაშობდი, რაც არ მაძლევდა საშუალებას ჩემი საუკეთესო თვისებების გამოსავლინებლად ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, რის გამოც კვლავაც მჯერა, რომ დავბრუნდები. თანაც ყველა ცნობილმა ექიმმა დამარწმუნა, რომ ოპერაცია არ მჭირდება და თერაპია საკმარისია. ეს ფაქტი მამშვიდებს და ძალას მმატებს“.

ასეა, „ინტერი“ და რონალდო დღეს განუყოფელია. გუნდში მთავარი მწვრთნელის შეცვლამაც საქმეს ვერაფრით უშველა – მორჩა, ლუჩესკოს „ინტერნაციონალე“ ფაქტობრივად არაფრით განსხვავდება ჯიჯი სიმონის „ინტერნაციონალისაგან“. ყველაფრის თავი და თავი რონალდოა! „როცა „ინტერი“ იგებს, ხშირად იტყვიან, რომ რონალდოთი იგებს. ესე იგი, სამართლიანია ისიც, როცა „ინტერს“ მარცხში ყველაზე უფრო რონალდოს ადანაშაულებენ. ეს ნორმალური ტენდენციაა იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებსაც სურთ გუნდის ლიდერობა“, – ამბობს რონალდო და იქვე დასძენს: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შენი სახელი მხოლოდ ერთ კლუბთან იყოს დაკავშირებული. მაგალითად, პელე „სანტოსს“ წარმოადგენდა. მე კი ვისურვებდი ვიყო „ინტერის“ სიმბოლო“.

... მაგრამ, როსღა ეღირსოს „ინტერს“ რონალდო?!

მოამზადა
დათო თავართქილაძემ

## „ლაციო“, ცხადია, მთავარი პრეტენდენტია

იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

კვირას გაიმართება „სერია A“-ს XXV ტური.

რომის „ლაციო“ 48 ქულით პირველ ადგილზეა. მან 24 თამაშიდან მოიგო 15, 6 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 3 წააგო. რომაელთა თავდამსხმელებმა მეტოქეთა კარში 52 გოლი გაიტანეს (აქედან ბოლო ტურში „სალერნიტანასთან“ შეხვედრაში ექვსი!), თავის კარში კი მიიღეს 23. შედეგიანობით პირველ ადგილზეა „ლაციო“, მასზე ნაკლები გოლი კი მხოლოდ „ფიორენტინას“ აქვს გაშვებული: ლიდერმა მიიღო 23 ბურთი, „ფიორენტინამ“ — 21. მას შემდეგ, რაც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა კრისტიან ვიერი, „ლაციომ“ გაცილებით შედეგიანად დაიწყო თამაში. ჩვეულებრივ სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები ნელ-ნელა ეჩვევიან იტალიურ გარემოს. ეს სრულიადაც არ დასჭირდა მარსელო სალასს, ახლანდელი პირველობის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს. მეტად ძლიერად თამაშობს 33 წლის რობერტო მანჩინი, რეკორდსმენი „სერია A“-ს ისტორიაში გატანილი გოლების თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, საქმე მხოლოდ ამ სამ ბრწყინვალე თავდამსხმელში არ არის. კარს საიმედოდ იცავს მრავალნაცადი ლუკა მარკეჯანი, ჩინებულად თამაშობს დაცვა, დიდ სამუშაოს ასრულებს ნახევარდაცვა — სინიშა მიხაილოვიჩს საჯარიმო დარტყმით უკვე 7 გოლი აქვს გატანილი, გუნდს გამოადგა ახლახან ჩარიცხული ფრიად გამოცდილი ატილიო ლომბარდო, რომლის „ინგლისური კარიერა“ ფაქტობრივად, მარცხით დასრულდა: „ლაციოს“ „გრძელი სკამი“ აქვს და ამა თუ იმ მოთამაშის ტრავმას მძიმე შედეგები არ მოჰყვება.

გადავხედოთ ლიდერის უახლოესი შეხვედრების კალენდარს. 14 მარტს სტუმრად ეთამაშება ბოლო, მეთვრამეტე ადგილზე მყოფ „ემპოლის“, რომლის ბედი კარგა ხანია გადაწყვეტილია. 21 მარტს რომაელები მიიღებენ „ვენეციას“, რომელმაც გამოასწორა მდგომარეობა და მეორე ლიგაში გადასვლა თითქოს უკვე აღარ ემუქრება. აი, XXVII ტურში კი 3 აპრილს „ლაციო“ „მილანს“ მიიღებს, მაგრამ იქამდე, რომ იტყვიან, ბევრი წყალი ჩაივლის. ასეა თუ ისე, სვენ-გორან ერიქსონის კლუბს ჯერჯერობით მტკიცე სატურნირო მდგომარეობა უკავია.



ახლა 47 ქულით მეორე ადგილზე „სკუადრა ვიოლა“, „ფიორენტინა“ მიდის... იგი დიდხანს ლიდერობდა კიდეც. იტალიური (და არა მარტო იტალიური!) პრესა ხოტბას ასხამდა ჯოვანი ტრაპატონის, რომელმაც შედარებით მოკლე დროში შეძლო გუნდის გაძლიერება. შემდეგ კი ფლორენციელთა საქმეები უკან წავიდა. ტრავმა მიიღო გაბრიელ ბატისტუტამ, ბრაზილიაში კარნავალზე გასეირნება მოინდომა ედმუნდომ, რომელთანაც ვერც ერთი მწვრთნელი (ალბათ მაინც ვანდერლეი ლუქსემბურგის გამოკლებით) ვერაფერს აწყობს. და აი, როცა გუნდი ამ ორ შესანიშნავ უთავდამსხმელოდ დარჩა, მისი საქმეები, გასაგებია, უკან-უკან წავიდა. მომდევნო სამ მატჩში „ფიორენტინამ“ მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა და პირველიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ეს ასეა, მაგრამ გუნდმა მაინც გამოიჩინა ნებისყოფა. 7 მარტს „პარმასთან“ შეხვედრაში, რომელსაც „ფიორენტინის“ მსგავსად 44 ქულა ჰქონდა, ტრაპატონის კლუბმა კვლავ აჩვენა თამაშის მაღალი კლასი (2-1), განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პორტუგალიელი რუი კოშტა და ბრაზილიელი, „ნატურალიზებული“ ბელგიელი ლუის ოლივეირა. შარშან ოლივეირა თავდასხმაში გამოდიოდა. უკმაყოფილო იყო ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე გადაყვანით, მაგრამ ავტორიტეტულმა და ტაქტიანმა ტრაპატონიმ დაარწმუნა იგი ამის აუცილებლობაში. მაღალი კლასის მცველი მორენო ტორიჩელი, მეტად შეუპოვარი ჩეხი ტომას რეპკა, ჩინებული გერმანელი ნახევარმცველი იორგ ჰაინრიხი კვლავ შემართებით თამაშობენ და „ფიორენტინაც“ აგრძელებს ბრძოლას „სკუდეტოსათვის“. სადაცაა უნდა დაბრუნდეს ბატისტუტაც, რომელმაც, თუმცა 4 კალენდარული შეხვედრა გააცდინა, მაინც შეინარჩუნა პირველი ადგილი სნაიპერთა შორის (18 გოლი).

14 მარტს „ფიორენტინა“ ვენეციაში ითამაშებს, 21 მარტს ერთ-ერთ აუტსაიდერ „პიაჩენცას“ მიიღებს, ხოლო 3 აპრილს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს მილანში „ინტერთან“. რა თქმა უნდა, „ინტერი“ ახლა, შეიძლება ითქვას, აშკარა კრიზისს განიცდის, რუმინელმა მირჩა ლუჩესკუმ მას ვერაფერი უშველა, მაგრამ „სან-სიროს“ სტადიონზე იგი მაინც ყოველთვის სახიფათოა.

46 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა „მილანმა“, რომელმაც უკანასკნელი შეხვედრა, მართალია ძლივძლივობით, მაგრამ ბირჰოფის მიერ გატანილი გოლის წყალობით მაინც მოუგო „პიაჩენცას“ 1-0. შეიძლება სასაცილოც კი იყოს იმაზე ლაპარაკი, რომ გერმანიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი „ფეხით ვერ თამაშობს“, მაგრამ თავით კი უპირველესი ინგლისელი ფორვარდების დონეზე მოქმედებს. უკანასკნელ ტურში მისი სწორედ თავით გატანილი ბურთი მე-11 აღმოჩნდა ამ ჩემპიონატში, „მილანის“ სხვა თავდამსხმელები კი ასეთ შედეგიანობას ვერ დაიკვეხნიან. საერთოდ კი, ალბერტო ძაკერონიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ბრწყინვალე მწვრთნელია და „ნანგრევებად ქცეული“ „მილანი“ მოკლე ხანში დააყენა ფეხზე. ამასთან, გუნდის მეპატრონე სილვიო ბერლუსკონი აცხადებს, რომ წლეულს კლუბი სულაც არ აპირებს პირველი ადგილისათვის ბრძოლას (ვინ იცის!), მას სრულიად აკმაყოფილებს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, შემდეგ კი ახალ ვარსკვლავებს (მათ შორის ანდრეი შევჩენკოს) მიიზიდავს და...

ზეგ „მილანი“ „ინტერს“ შეხვდება, თავის ყველაზე უფრო პრინციპულ მოწინააღმდეგეს იტალიის „სერია A“-ში. როგორიც არ უნდა იყოს ამ კლუბების სატურნირო მდგომარეობა, მათი ბრძოლა ყოველთვის უშელავათოდ, ზოგჯერ კი აშკარად უხეშადაც კი მიმდინარეობს. წმინდა საფეხბურთო ასპექტების გარდა, ეს არის ორი მულტიმილიონერის სილვიო ბერლუსკონისა და მასიმო მორატის დაპირისპირება.

21 მარტს „მილანი“ „ბარის“ მიიღებს, 3 აპრილს კი რომში „ლაციოს“ შეხვდება.

უკვე ვისაუბრეთ „პარმას“ შესახებ, რომელიც 44 ქულით მეოთხე ადგილზეა. მას, რა თქმა უნდა, მძიმე დარტყმა მიაყენა წინა ტურში „ფიორენტინასთან“ წაგებამ — 1-2, თუმცა ერთგვარი იმედი მაინც რჩება. 14 მარტს „პარმა“ მიიღებს „ბარის“, რომელიც თითქოს დიდი პრეტენზიების გარეშე, მაგრამ საკმაოდ მტკიცედ თამაშობს. უფრო მნიშვნელოვანია „პარმას“ 21 მარტის გასვლითი მატჩი მეტად შეუპოვარ „უდინეზესთან“, რომელიც ახლა 39 ქულით მეხუთე ადგილზე მიდის. 3 აპრილს „პარმა“ შინ ეთამაშება „კალიარის“.

სხვა გუნდებიდან უნდა აღინიშნოს „იუვენტუსის“ შედეგები. მას შემდეგ, რაც განთქმულმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ „კარი მიიჯახუნა“, მისმა შემცვლელმა კარლო ანჩელოტიმ სულ მოკლე დროში შეძლო გუნდის ბრძოლისუნარიანობის აღდგენა, თუმცა კვლავინდებურად არ თამაშობს ალესანდრო დელ პიერო და ბოლო მატჩი გენუის „სამპდორიასთან“ ზინედინ ზიდანმაც გამოტოვა. რა თქმა უნდა, ჩემპიონის წოდება „იუვემ“ კარგა ხანია დაკარგა, ამაზე უკვე პირველი წრის შემდეგ აღარ იყო ლაპარაკი, მაგრამ ბოლო მატჩების მოგებამ ტურინელებს მეექვსე ადგილზე გადასვლის (37 ქულით) საშუალება მისცა, და, ვინ იცის, იქნებ მეოთხე ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობაც გამოუჩნდეს.

გივი გამრეკელი



„ინტერი“ — „ლაციო“. ჯორკაეფისა (მარცხნივ) და ივან დე ლა პენიას ორთაბრძოლა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჯონ ტოშაკი – ოპტიმიზმი და ამბიციები

ამ დღეებში მადრიდის „რეალის" მწვრთნელად დანიშნულ ჯონ ბენჯამინ ტოშაკი ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილი პიროვნებაა.

დაიბა[illegible] 1949 წლის 22 მარ[illegible] [illegible] თავის დროზე შესანიშნავ ცენტრალურ თავდამსხმელად ითვლებოდა. 1961-69 წლებში „კარდიფ სიტიში" გამოდიოდა, 1970-77 წლებში – „ლივერპულში", 1978-83 წლებში – „სვენსი სიტიში". უელსის ნაკრებში 40 მატჩი ითამაშა და 13 გოლი გაიტანა. ამ გუნდში დებიუტი 1969 წლის 26 მარტს ჰქონდა მაინის ფრანკფურტში გფრ-ის ნაკრებთან (1-1). უკანასკნელი მატჩიც ამავე გუნდთან 1979 წლის 17 ოქტომბერს გამართა (1-5).

შემდეგ ტოშაკი პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. ჯერ „სვენსი სიტიში" მუშაობდა, შემდეგ პორტუგალიაში გაემგზავრა და 1984 წლიდან მოყოლებული, ლისაბონის „სპორტინგს" უდგას სათავეში. ათი წლის წინათ უელსელმა მადრიდის „რეალი" ჩაიბარა, სადაც მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო, მაგრამ თავი იმით დაამახსოვრა, გულშემატკივრებს რომ იმ წელს გუნდმა 107 გოლი გაიტანა. ეს იყო დღემდე პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა გატანილი გოლების რიცხვმა ესპანეთის პირველობაზე ასს გადააჭარბა. იმ გუნდს დაარქვეს კიდეც – Real De Rekord.

მაშ რატომ გაანთავისუფლეს? „რეალის" ახლანდელი პრეზიდენტის ლორენსო სანსის აზრით, ეს აშკარად მცდარი გადაწყვეტილება იყო: „მან მაშინდელი ხელმძღვანელობის არაობიექტურობის გამო დატოვა კლუბი, რომელიც მწვრთნელს კი არ უსმენდა, არამედ უფრო ფეხბურთელებს".

ამის შემდეგ ტოშაკმა რამდენიმე წელი ესპანეთის კიდევ ერთ ცნობილ კლუბ „რეალ-სოსიედადში" გაატარა, შემდეგ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მუშაობდა, ბოლოს კი სტამბოლის „ბეშიქტაშში".

● *მოგენატრათ ესპანეთი? ჰკითხეს მადრიდში დაბრუნებულ ტოშაკს.*

– მომენატრა ღვინო, ურომლისოდ ესპანეთში სადილი საერთოდ წარმოუდგენელია. თურქეთში ყველაფერი მქონდა ამის გარდა. თუმცა, შეიძლება ზოგჯერ უფრო ძლიერი სასმელის, მაგალითად, კონიაკის დალევაც.

● *რითი დაგამახსოვრდათ „რეალში" ადრინდელი მუშაობა?*

– იმით, რომ მოთამაშეები ვახშამზე ყოველთვის ძალით მიმყავდა. მიჩელი მეხმარებოდა. ვეუბნებოდით: არ ვიცით, გავიმარჯვებთ თუ არა პირველობაზე, მაგრამ აი „ღორმუცელობით" კი უკვე ჩემპიონები ვართ. მიჩელი საერთოდ დიდი ხუმარა იყო.

ხუმრობა იქით იყოს და ჟურნალისტებმა ტოშაკს უპირველეს ყოვლისა, ის ჰკითხეს, რა ტაქტიკური სქემით აპირებდა იგი თამაშს.

ტოშაკის სქემა ცოტა თავისებურია – 3-3-3-1. უფრო კონკრეტულად კი ეს დაახლოებით ასე გამოიყურება. კარს იცავს ილგნერი, რომელმაც რამდენიმე მატჩი არასაკმარისი დამაჯერებლობით წარმართა, მაგრამ „რეალს" ამჟამად უკეთესი გოლკიპერი არა ჰყავს. უკანა ხაზზე სამი ცენტრალური მცველი ითამაშებს (განაპირა მცველების გარეშე!) კარანკა, იერო, ივან კამპო, რომელთაც, ეტყობა ზოგჯერ სანჩისი და სანსი შეცვლიან. ცენტრალური სამეული ასეთია: რობერტო კარლოსი შეტევებში ხშირი ჩართვით, ხაიმე და პანუჩი. ზოგჯერ აქვე ითამაშებენ ზეედორფი და რედონდო. წინა ხაზზე გამოვლენ სავიო, რომელიც გუს ჰიდინკის დროს საკმაოდ იშვიათად გამოდიოდა მინდორზე, მიატოვიჩი და რაული. ამ სამი თავდამსხმელის გარდა წინ წაწეულია მორიენტესი. შუკერის იმედი მწვრთნელს უკვე აღარა აქვს.

მიმომხილველებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ძირითად შემადგენლობაში ტოშაკი არ ითვალისწინებს ადგილს მეტად გამოცდილი სანჩისისათვის. ამას უკავშირებენ იმ განხეთქილებას, რომელიც ტოშაკსა და სანჩისს იმ დროს ჰქონდათ, როცა უელსელი „რეალის" მწვრთნელი იყო, თუმცა ტოშაკი ახლა ასე ლაპარაკობს:

– დიახ, უსიამოვნება გვქონდა, მაგრამ ახლა მისი გახსენება არაფერ შუაშია. თუკი გადავწყვეტ, რომ სანჩისი გუნდის თამაშს გააძლიერებს, მაშინ მინდორზე გამოვა კიდეც, თუ არა და სათადარიგო იქნება.

მიმომხილველები ყურადღებას აქცევენ იმასაც, რომ ტოშაკი ფაქტობრივად ერთი თავდამსხმელით – მორიენტესით აპირებს თამაშს, სხვები კი საგრძნობლად უკან იქნებიან დაწეული.

– გუნდში ერთი წმინდა ფორვარდი უნდა იყოს, მაგრამ ღვთისაგან მომადლებული ნიჭით. ადრინდელ „რეალში" მყავდა ასეთი – მექსიკელი უგო სანჩესი. მან იმ სეზონში 38 გოლი გაიტანა. მაგრამ, მიაქციეთ ყურადღება, არცერთი გოლი ინდივიდუალური მოქმედების შედეგი არა ყოფილა. დიახ, არცერთი! ყველა 38 გოლი ბურთისადმი ერთი შეხებით გავიდა. ახლანდელი მოთამაშეებიდან მორიენტესი ყველაზე უფრო ჰგავს სანჩესს. მას ძლიერი დარტყმაც აქვს, ფიზიკური მონაცემებიც და მეტოქის საჯარიმო მოედანზე ბრძოლის სურვილიც.

ასეა თუ არა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩემპიონთა ლიგაში კიეველებთან განმეორებით შეხვედრაში გამოჩნდება. 1-1 მადრიდში, რა თქმა უნდა, არ იყო „რეალისათვის" მაინცდამაინც სასურველი შედეგი, მაგრამ კიევის მატჩში „დინამოს" მაინც არავინ თვლის აშკარა ფავორიტად.

ბივი თორელი



*ჯონ ტოშაკი (მარცხნივ) და „სამეფო კლუბის" პრეზიდენტი ლორენსო სანსი*

## სასამართლო პროცესი ბლაჟევიჩის წინააღმდეგ



ხორვატიის ჰელსინკის კომიტეტმა და ქვეყნის ჟურნალისტების ასოციაციამ ამ დღეებში „მოკვლისაკენ მოწოდებაში" დასდეს ბრალი ეროვნული ნაკრების მწვრთნელ მიროსლავ ბლაჟევიჩს. საქმე ის არის, რომ გაზეთ „ვეჩერნი ლისტის" კორესპონდენტთან საუბარში ბლაჟევიჩმა განაცხადა, რომ იგი „პატრიოტების ჯგუფს" მიეკუთვნება, რომლებმაც სახელმწიფოს ხსნის მიზნით უნდა მოახდინოს დამოუკიდებელ ყოველკვირეულ „ნაციონალის" მთავარ რედაქტორ ივო პუკანიჩის ლიკვიდაცია.

ჟურნალისტების ასოციაციამ უკვე აღძრა საქმე ბლაჟევიჩის წინააღმდეგ.

## როდის განახლდება ფეხბურთი არგენტინაში?

არგენტინაში უკვე მეოთხე კვირაა გრძელდება ფეხბურთელების გაფიცვა. ქვეყნის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გულშემატკივრებს ცარიელი სტადიონებიღა შერჩათ. პრეზიდენტის მეგობარი დიეგო მარადონა კი ფეხბურთის პროფკავშირების კრიტიკით გამოვიდა: „არგენტინელებს არ შეუძლიათ უფეხბურთოდ ცხოვრება. ვფიქრობ, ფეხბურთელების გაფიცვას ადრე აზრი კი ჰქონდა, მაგრამ ახლა ისინი მოეშვნენ და არ იციან, როგორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა".

მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ფეხბურთელების გაფიცვა (იგი მარტო ეროვნულ ჩემპიონატს ეხება) საცაა უნდა შეწყდეს.

## ჟინოლა მსოფლიოში უძლიერესი?



იოჰან კრუიფის აზრით, ამჟამად მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელი არც რონალდოა და არც ზიდანი, არამედ ფრანგი დავიდ ჟინოლა, რომელიც ახლა დიდი წარმატებით გამოდის ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსში".

– ახლა მსოფლიოში არ არის არც ერთი ფეხბურთელი, რომლის თამაშიც ასე მომწონდეს – თქვა კრუიფმა – როცა იგი კარგ ხასიათზეა, საერთოდ ყველაფერი გამოუდის. ამიტომაც არის, რომ ინგლისელებს ძლიერ უყვართ. გასაგებია, ასეთი ტალანტის მიმართ გულგრილი ვერ დარჩები.

## „ყველაფერი ჩვენს ხელშია"...

ასე ფიქრობს ლისაბონის „ბენფიკას" ცნობილი შოტლანდიელი მწვრთნელი გრემ სუნესი. საქმე ის არის, რომ პორტუგალიის ჩემპიონატის 24 ტურის შემდეგ „პორტუს" 53 ქულა აქვს, „ბოავიშტასა" და „ბენფიკას" კი – 52-52. ამასთან, როგორც ერთ, ისე მეორე კონკურენტს „ბენფიკა" საკუთარ მინდორზე მიიღებს – 14 მარტს „და ლუშის" სტადიონზე „ბოავიშტა" ითამაშებს, 25 აპრილს კი „პორტუ".

## ფილმი მარადონას შესახებ

ასეთი ფილმის შექმნის იდეა კარგა ხანია არსებობს. თვით მარადონა ბევრს ფიქრობს მის შესახებ და აპირებს ლოს-ანჯელესში გაფრენას სათანადო რეჟისორის საკითხის გადასაწყვეტად. კანდიდატურებს შორის არიან პირველხარისხოვანი რეჟისორები, სტივენ სპილბერგი, ფრენსის ფორდ კოპოლა, კვენტინ ტარანტინო და მარტინ სკორსეზე.

## „ნაკრებში – ორხელისუფლებიანობა?"

*ამ კითხვით მიმართეს რუსეთის ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელს ოლეგ რომანცევს.*

– დღესდღეობით არ მიმაჩნია მიზანშეწონილად „სპარტაკის" პრეზიდენტისა და ხელმძღვანელის პოსტის მიტოვება, – უპასუხა რომანცევმა – ბუნებრივია, რომ კლუბში მუშაობა მართმევს და კვლავაც წამართმევს ბევრ დროს. ამიტომ მოვითხოვე ნაკრებს შტატში ჰქონოდა უფროსი მწვრთნელის თანამდებობა, რის შედეგადაც გერშკოვიჩმა და მე გავიყავით მოვალეობანი. ახლა ორივე რამდენიმე მიმართულებით ვართ პასუხისმგებელნი: კერძოდ, უფროს მწვრთნელს მავალია ლეგიონერების გასინჯვა და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა. ამასთან, ორივე თანაბრად პასუხისმგებელნი ვართ ყველაზე მთავარზე – შედეგებზე. შეიძლება მე უფრო მეტად. ყოველ შემთხვევაში, წარუმატებლობის შემთხვევაში მე „წამაძრობენ თავს".



*სურათზე: რომანცევი (მარცხნივ) და გერშკოვიჩი პრესკონფერენციაზე.*

## „რასინგი" „გარდაიცვალა"?

არგენტინის ერთ-ერთმა უძველესმა კლუბმა, 1903 წელს დაარსებულმა „რასინგმა" ქალაქ ლა-პლატას სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით ვალების გადაუხდელობის გამო უნდა შეწყვიტოს არსებობა.

ვალი 40 მილიონ დოლარს შეადგენს. უკვე გაუქმდა მისი შეხვედრები არგენტინის პირველობაზე. ახლა მოსალოდნელია კლუბის მთელი ქონების აუქციონზე გაყიდვა, ხოლო მოთამაშეები თავისუფალი აგენტები გახდებიან. ახლა „რასინგის" ხელმძღვანელობა არგენტინის უმაღლეს სასამართლოინსტანციებში აპელაციის შეტანას აპირებს, ხოლო გულშემატკივრები დემონსტრაციებსა და აქციებს ატარებენ.

არგენტინელმა მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა – „რასინგის" ტრაგედია გულთან ახლოს მიიტანეს.

კრისტიან დიასი („ინდეპენდიენტე"): თუმცა იგი ჩვენი შეურიგებელი მეტოქე იყო, „რასინგის" გაქრობა არგენტინულ ფეხბურთს სიკეთეს არ მოუტანს.

ხოსე ბასუალდო („ბოკა ხუნიორსი"): ძალიან ვწუხვარ, რომ „რასინგს" ასეთი რამ მოუვიდა. მეცოდება მისი გულშემატკივრები, რომლებიც ამდენი წელია მის ჩემპიონობას ელოდნენ.

სესარ ლუის მენოტი („ინდეპენდიენტეს" მთავარი მწვრთნელი) „რასინგი" ჩვენი საფეხბურთო კულტურის გულიდან ამოგლეჯილი ძეგლია.

ანხელ კაპა („რასინგის" ყოფილი მწვრთნელი): არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ნამდვილად მოხდება. იმედი მაქვს, რომ გამოჩნდება კლუბის მხსნელი.

„რასინგი" არგენტინის ჩემპიონი შორეულ 1966 წელს იყო. 1967 წელს ბრწყინვალე წარმატებები ჰქონდა – მოიპოვა „კოპა ლიბერტადორესი", შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო თასიც.

## „როგორ შევაჩეროთ ვარდნა"?

„გერმანული ფეხბურთი დამცირებული და შეურაცხყოფილია", „ეროვნული კატასტროფა" და ა.შ. ასეთი სათაურებით აჭრელდა გერმანიის გაზეთები ქვეყნის ეროვნული ნაკრების ამასწინანდელ წარუმატებელ ტურნეს გამო ოკეანის გაღმა. ფეხბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები, პოლიტიკოსებიც კი, მოითხოვენ ახალდანიშნულ მწვრთნელის ერიხ რიბეკის თავისი ნებით გადადგომას.

– ასეთ დაბალ დონეზე ჩვენი ნაკრები ჯერ არ ყოფილა, – თქვა 70-80-იანი წლების ვარსკვლავმა ბრაიტნერმა.

*მარიო ბასლერი:* (ფეხბურთელი, რომელიც რიბეკმა ამერიკულ ტურნეში არ მიიწვია), – ჩემის აზრით, ყველაფერზე მწვრთნელმა უნდა აგოს პასუხი. გუნდი ხომ მან შეკრიბა.

*იურგენ კოლერი:* (მსოფლიო-90 ჩემპიონი, – მსგავსი ამხანაგური შეხვედრები არაფრის მომცემია პრინციპული მატჩების წინ მომზადების თვალსაზრისით. და მაინც, ასე თამაში ამერიკელების წინააღმდეგ, უბრალოდ სამარცხვინოა.

*ასეთი კრიტიკის ქარ-ცეცხლის მიუხედავად, რიბეკს (იგი შარშან, სექტემბრიდან ჩაუდგა ნაკრებს სათავეში) ქომაგები თუ არა, თანამგრძნობნი გამოუჩნდნენ. მათ შორის ფრანც ბეკენბაუერიც, რომლის სახელი, სულ ცოტა, ათობით აქტიურ დამცველს გადაფარავს.*

ფრანც ბეკენბაუერი: – კი, გერმანული ფეხბურთი კრიზისს განიცდის. 1954 წლის შემდეგ პირველად წააწყდით თაობათა ცვლის პრობლემას. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ახლანდელ ნაკრებში საშუალო დონის ფეხბურთელები გამოდიან. და, როცა, შემსრულებლები არა გყავს, რაღაზეა ლაპარაკი? და კიდევ, ეს ტურნე რიბეკის ეროვნულ გუნდში მოსვლამდე იყო დაგეგმილი. მისი აზრით ამ ამხანაგური მატჩების შესახებ არავის აინტერესებდა. უბრალოდ, იგი ფაქტის წინაშე დააყენეს... რა საჭიროა მსგავსი ტურნე თუ მთელ გუნდს თავს ვერ მოუყრი? საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თუ რა ძნელია მწვრთნელისათვის ასეთ თამაშზე განაწყოს ფეხბურთელები. და მერე სად? ფლორიდაში, ზღვის ნაპირზე, პალმებსა და „ბიკინებიან გოგონებში". ეს უაზრო ამხანაგური თამაშები ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. გერმანული ფეხბურთის ავტორიტეტი რეკორდულად დაბალ დონის ნიშნულზე დაეცა. რა ვიღონოთ ამ ვარდნის შესაჩერებლად?

*27 მარტს გერმანიის ნაკრებს სერიოზული გამოცდა ელის ევრო-2000-ის შერჩევით ტურნირში, იგი შეხვდება ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნულ გუნდს. შესაძლოა ამ მატჩის შედეგზე იყოს დამოკიდებული არა მარტო ერიხ რიბეკის ბედი, – არამედ იმაზეც, რომ გერმანიამ სურვილი გამოთქვა 2006 წლის მსოფლიო თასის ფინალურ ტურნირის მასპინძლობის შესახებ...*



*ერიხ რიბეკი*

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# კასპაროვი კვლავ პირველია, კვლავ დიდი უპირატესობით

ლინარესში დამთავრდა მეოცე კატეგორიის სუპერტურნირი მსოფლიოს 8 უძლიერესი დიდოსტატის მონაწილეობით. იგი, ისევე, როგორც ვეიკ-ან-ზეეში, კვლავ გარი კასპაროვის გამარჯვებით დასრულდა, ამასთან, მსოფლიო ჩემპიონს ამჯერად სხვა მოთამაშეებთან კიდევ უფრო დიდი უპირატესობა ჰქონდა, ვიდრე ჰოლანდიურ სუპერტურნირში.

4 ტურის შემდეგ შეჯიბრებას 3 ქულით ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი ლიდერობდა, მაგრამ ეს სრულიად შემთხვევითი შედეგი აღმოჩნდა. ადამსმა თანდათანობით დაკარგა თავისი წამყვანი მდგომარეობა და ბოლოს სატურნირო ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა.

კასპაროვმა პირველი ადგილი ჯერ კიდევ შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა. ბოლო ორი შეხვედრა მან სწრაფად დაასრულა ყაიმით და საბოლოოდ 14 შესაძლებლიდან 10,5 ქულა მოაგროვა. ჩემპიონმა მოიგო 7 პარტია და ამდენივე ყაიმით დაასრულა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია კასპაროვის მთელი, უკვე ხანგრძლივი საჭადრაკო კარიერის მანძილზე. მან უახლოეს მდევრებს მთელი 2,5 ქულიით გაუსწრო, რაც უჩვეულოა თანამედროვე სატურნირო პრაქტიკაში.


გარი კასპაროვი

8-8 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ვიშვანათან ანანდმა და ვლადიმირ კრამნიკმა. ანანდი ამჯერად ნაკლები ენერგიით თამაშობდა, ვიდრე ვეიკ-ან-ზეეში, პირველი ადგილისათვის ბრძოლაში. საერთოდ არ მონაწილეობდა და მხოლოდ უკანასკნელ ტურში ადამსის დამარცხებამ მისცა საშუალება დასწეოდა კრამნიკს. ჩვეულებრივ ესოდენ აგრესიულმა ინდოელმა მოიგო სულ სამი პარტია და წააგო ერთი (კასპაროვთან). კრამნიკი დიდი ამბიციების გარეშე თამაშობდა, 2 პარტია მოიგო და დანარჩენი 12 (!) ყაიმით დაასრულა. ასეა თუ ისე, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ანანდი და კრამნიკი, ისევე, როგორც შარშან, კვლავ უძლიერესებია საჭადრაკო სამყაროში, ცხადია, კასპაროვის შემდეგ.

ერთგვარი სიურპრიზია 19 წლის პეტერ ლეკოს მეოთხე ადგილი (6,5 ქულა). უნგრელმა ჭაბუკმა ერთი პარტია მოიგო, ორი წააგო და დანარჩენები ყაიმით დაასრულა. 6-6 ქულით დაასრულეს შეჯიბრება ვასილი ივანჩუკმა და ვესელინ ტოპალოვმა, 5,5 ქულა — მაიკლ ადამსმა და პეტრე სვიდლერმა.

ახლა მორიგი სუპერტურნირი, უკვე უკასპაროვოდ, აპრილში დოს-ერმანასში (ესპანეთი) გაიმართება.

# როგორ „გამოიყურება" ევროლიგა - 1999/2000



ევროლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში გამოვლინდა ექვსეულების ბოლო ადგილზე მყოფი ოთხივე კლუბი, რის შედეგადაც მათი ქვეყნების წარმომადგენლობა ევროლიგის შემდეგ გათამაშებაში თითო გუნდით შემცირდა: რუსეთის „ავტოდორსა" და „სამარას", რომლებმაც კარგა ხანია დაჰკარგეს სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილის თავის დაღწევის ყოველგვარი შანსი, დაემატა იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა" და ხორვატიის „ზადარი". გაირკვა აგრეთვე რომელი ქვეყანა მიიღებს მომავალ სეზონში დამატებით ადგილებს მთავარ ევროთასის გათამაშებაში. ესენია იუგოსლავია (2 კლუბი), სლოვენია და საფრანგეთი.

### ევროლიგა – 98/99-ის მონაწილე ქვეყნები

| | |
|---|---|
| საბერძნეთი | 3გუნდი |
| ესპანეთი | 3 |
| იტალია | 3 |
| რუსეთი | 3 |
| თურქეთი | 3 |
| ხორვატია | 2 |
| საფრანგეთი | 2 |
| გერმანია | 1 |
| ლიტვა | 1 |
| სლოვენია | 1 |
| იუგოსლავია | 1 |

### ევროლიგაში ადგილები დაჰკარგეს

| | |
|---|---|
| რუსეთმა | 2 |
| ხორვატიამ | 1 |
| იუგოსლავიამ | 1 |

### 98-99 თასის გათამაშების შედეგად დამატებითი ადგილები მიიღეს:

| | |
|---|---|
| იუგოსლავიამ | 2 |
| სლოვენიამ | 1 |
| საფრანგეთმა | 1 |

### ევროლიგა 1999/2000 შემადგენლობა

| | |
|---|---|
| საბერძნეთი | 3 |
| ესპანეთი | 3 |
| იტალია | 3 |
| თურქეთი | 3 |
| საფრანგეთი | 3 |
| სლოვენია | 2 |
| იუგოსლავია | 2 |
| გერმანია | 1 |
| ისრაელი | 1 |
| ლიტვა | 1 |
| რუსეთი | 1 |
| ხორვატია | 1 |

# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია

## აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

**სოციალურ-ჰუმანიტარული დისციპლინების კათედრა**

1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული საქართველოს ისტორიის სპეციალობით, მეცნიერების კანდიდატი;

**ენების კათედრა**

1. კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული, რუსული ენის სპეციალობით; კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული, ინგლისური ენის სპეციალობით.

**ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის კათედრა**

1. კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული, ფიზიოლ[illegible] სპეციალობით;

— კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული, ბიოქიმიის სპეციალობით.

**პედაგოგიკა — ფსიქოლოგიის კათედრა**

1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, პედაგოგიკის სპეციალობით, მეცნიერების კანდიდატი

— კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული, სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალობით.

**ბიომექანიკის კათედრა**

1. კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, ფიზიკის სპეციალობით; ფიზიკა-მათემატიკის მეც. კანდიდატი.

**ტანვარჯიშის კათედრა**

1. კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული აკრობატიკის სპეციალობით.

**მრავალჭიდის კათედრა**

1. კათედრის პროფესორი — 1 ერთეული, ცხენოსნობის სპეციალობით, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი.

კონკურსის ვადაა, ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

**მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49. ტელ: 23-09-02**



შეავსეთ საქართველოს სხვადასხვა თაობის ფეხბურთელთა გვარები. ს — ერთგან მეკარის სახელი, ი — საფეხბურთო გუნდი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ფაშაზადეპი, 4. ქაკე, 6. ბო, 7. ბეკი, 8. ილი; 10. ლი, 11. პასარელა, 13. იტო, 14. ბაჯო, 15. ჩუი, 16. ბრაუნი, 17. რეიესი, 19. ნილისი, 20. ბირჰოფი, **შვეულად:** 2. შუკერი, 3. ერლი, 4. ქობი, 5. კარპენჯიანი, 9. „რაპიდი", 12. სტევიჩი, 18. ეტოო

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

# 13 მარტს „მედისონ სქვერ გარდენში"

ამ ბოლო წლებში საერთაშორისო კრივის ცენტრმა ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენიდან" ლას-ვეგასის „ცეზარ პალასში" გადაინაცვლა, სადაც მსოფლიო პირველობაზე რამდენიმე მეტად საინტერესო მატჩი გაიმართა. რა თქმა უნდა, ნიუ-იორკი სულაც არ ფიქრობს პირველობის დათმობას. ამიტომაც, სწორედ „მედისონ სკვერ გარდენში" 13 მარტს მოეწყობა „საუკუნის უკანასკნელი დიდი ორთაბრძოლა" (როგორც მას მიმომხილველები უწოდებენ) თანამედროვეობის ორ უდიდეს მოკრივეს: ევანდერ ჰოლიფილდსა (ამერიკის შეერთებული შტატები) და ყოფილ კანადელს, ახლა კი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ ლენოქს ლუისს შორის.


ჰოლიფილდი

რას ელიან მიმომხილველები ამ შეხვერაში?

ევანდერ ჰოლიფილდი 37 წლისაა, იგი მსოფლიო ჩემპიონია WBA-სა და IBE-ს ვერსიით. მისი სიმაღლეა 189 სმ. პროფესიულ რინგზე გამართა 36 ბრძოლა, საიდანაც მოიგო – 33 (აქედან 25 ნოკაუტით) და 3 წააგო. ორი დამარცხება მან განიცადა რიდიკ ბოუისთან, აქედან მეორე 1992 წელს, 1994 წლის 22 აპრილს კი მოულოდნელად წააგო მაიკლ მურერთან, რომლის შესაძლებლობებსაც მატჩის წინ ექსპერტები უმნიშვნელოდ თვლიდნენ. სპეციალისტების აზრით, ჰოლიფილდი არაერთი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ამჯერად აშკარად მოდუნებული იყო, არა ჰქონდა ბრძოლის სტრატეგიული ნათელი გეგმა. მან მეტოქე აშკარად ჯეროვნად ვერ შეაფასა, ცდილობდა მის დაჯაბნას ძალით და არ გაითვალისწინა მურერის დიდი ფიზიკური შესაძლებლობები, რამდენჯერმე მის უაღრესად სახიფათო – მარცხენას „წამოეგო". 1997 წლის ნოემბერში კი ჰოლიფილდმა გაითვალისწინა ყველა ეს შეცდომა და მატჩ-რევანში მურერს სწორედ თავისი უმდიდრესი ტექნიკის წყალობით მოუგო, მას შემდეგ იგი უძლეველია. ხოლო თუ რა მოხდა ჰოლიფილდის ორ მატჩში (პირველში იგი ასე გასინჯეთ, განწირულადაც კი ითვლებოდა) მაიკ ტაისონთან, ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი.



ლენოქს ლუისი 33 წლისაა, იგი მსოფლიო ჩემპიონია WBC-ს ვერსიით. ეს წოდება მან უბრძოლველად მიიღო ჰოლიფილდის მძლეველ რიდიკ ბოუისაგან და შემდეგ არაერთგზის დაიცვა. ლუისის განსაკუთრებით სახიფათო მეტოქედ ითვლებოდა ფიზიკურად მეტად ძლიერი პოლონელი ანჯეი გოლოტა, მაგრამ ჩემპიონმა იგი პირველსავე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა. ლუისს, რომლის სიმაღლეა 196 სმ, (ზუსტად ისეთივე, როგორც რიდიკ ბოუის), პროფესიულ რინგზე ჩატარებული აქვს 34 ბრძოლა, საიდანაც 33 მოიგო (აქედან 27 ნოკაუტით) და 1 წააგო. ეს ერთადერთი მარცხი მან 1994 წელს ოლივერ მაკკოლთან განიცადა.

ახლანდელი ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, იმით არის საინტერესო, რომ კარგა ხნის შემდეგ გამოავლენს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს სამივე ვერსიით.

საინტერესოა, რომ ლენოქს ლუისს წვრთნის განთქმული ემანუილ სტიუარტი, რომელიც სხვადასხვა დროს 27 (!) მსოფლიო ჩემპიონთან მუშაობდა, მათ შორის ევანდერ ჰოლიფილდთანაც. შეიძლება მისი დამსახურებაცაა იმაში, რომ ჰოლიფილდს ამჟამად კრივის სამყაროში ვალი არა აქვს. რიდიკ ბოუის, რომელთანაც ადრე აგებდა, ჰოლიფილდმა ანგარიში გაუსწორა 1993 წელს მატჩ-რევანში, რის შემდეგ ბოუიმ თანდათანობით დატოვა პრეტენდენტთა რიგებიც.

საყურადღებოა, რომ სტიუარტი ახლა უპირატესობას ლენოქს ლუისს ანიჭებს. მას მხედველობაში აქვს არა მარტო ის, რომ ლუისი უფრო ახალგაზრდაა, არამედ მისი უპირატესობაც სიმაღლეში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰოლიფილდ – ბოუის ადრინდელ ბრძოლებში.

– ლუისს მისი კარიერის განმავლობაში დიდი ბრძოლები ჰქონდა, მაგრამ ახლა პირველი სუპერბრძოლა მოელის. ჰოლიფილდმა არაერთი სუპერბრძოლა გამართა და ზოგ მათგანში ძლიერ დაზარალდა კიდეც.

მიმომხიველთა აზრით, ჰოლიფილდის მხარეზეა დახვეწილი ტექნიკა და უდიდესი გამოცდილება, ლუისი კი მას სჭარბობს ფიზიკური კონდიციით და იმითაც, რომ მწვრთნელისაგან უაღრესად საინტერესო ცნობებს მიიღებს მეტოქის შესახებ.

ბრძოლა უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს. იხსენებენ იმ ამბავსაც, რომ სწორედ „მედისონ სკვერ გარდენში" 28 წლისა და 5 დღის წინათ გაიმართა მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზერის შეხვედრაც, რომელსაც 20 455 მაყურებელი დაესწრო. ახლა, თუმცა ბილეთები მეტად ძვირია (მათი ფასი პირველ რიგებში 1500 დოლარამდე აღწევს) მოელიან 20 ათას გულშემატკივარს.

ჰოლიფილდი აცხადებდა, რომ სერიოზული მეტოქეების აყოლის გამო ჰკარგავს მოტივაციას. ამიტომ, როცა მოწინააღმდეგედ ჯერ კიდევ 1997 წელს ლენოქს ლუისი შესთავაზეს, განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს რომ ეს შეხვედრა შედგეს. მოლაპარაებამ თითქმის წელიწადნახევარი გასტანა, ხან რამ შეუშალა ხელი და ხან რამ, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი არ მოგვარდა.

# ეჰ, რამდენ ხანს „ისვენებს"!

ბოლო შეჯიბრება, რომელშიც გენიალურმა ამერიკელმა მოჭადრაკემ ბობი ფიშერმა მიიღო მონაწილეობა, 1992 წლის მატჩი იყო ბორის სპასკისთან. ბევრი მოელოდა, რომ ამას ფიშერის არაერთი მატჩი თუ ტურნირი მოჰყვებოდა, იყო ლაპარაკი იუდით პოლგართან, იან ტიმანსა თუ სხვა დიდოსტატებთან შეხვედრაზე, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა...

ამასობაში თვით ფიშერმა დაიწყო – იმის მტკიცება, რომ „ჩვეულებრივი ჭადრაკის" თამაში არ ღირს, აი „ფიშერენდომისა" (სადაც ფიგურები ყველა პარტიაში სხვადასხვანაირადაა განლაგებული) კი, დიახაც... თითქოს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ასეთი განახლებული ჭადრაკის თამაშს აპირებდა, მაგრამ ჯერჯერობით არც აქ გამოჩენილა ასპარეზზე.

ერთი სიტყვით, ბობის, რომელიც ახლა ბუდაპეშტში ცხოვრობს, ძალიან დიდი „შესვენება" გამოუვიდა.

დღეს რობერტ ჯეიმს ფიშერს 56 წელი შეუსრულდა.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი

**მიხეილ დადიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ეa7! მფb5 2. a4+მფc6 3. ე:c7X.
1. ...მფd7 2. ე:c7+მფe8 3. მf6X.
2. ...მფe6 3. მe3X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე